ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 297

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:№01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 18 სექტემბრის №19.991.1273 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2.უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე